საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზაარბრიუკენის მოედანი

ზაარბრიუკენის მოედანი, მოედანი თბილისში (ძველი კუკია, ჩუღურეთი). მდებარეობს დავით აღმაშენებლის გამზირსა და დ. უზნაძის, პლატონის, ლ. ტოლსტოის, მ. გოგიბერიძის ქუჩებს შორის. თავდაპირველად მ. ვორონცოვის, შემდეგ კ. მარქსის მოედანი ერქვა. 1867 აქ, ალგეთის ქვით მოპირკეთებულ კვარცხლბეკზე, დაიდგა კავკ. პირველი მეფისნაცვლის, გენ.-ფელდმარშლის მ. ვორონცოვის ძეგლი (ჩამოისხა პეტერბურგში). ეს იყო სამხრ. კავკასიაში დადგმული პირველი ქანდაკება. 1922 წ. ძეგლი აიღეს.